№ 1/1/10 10. 02 20 22

ბრძანება

შპს „ევროპულ სკოლაში" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის" წესდების მე-8 მუხლის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების" პირველი მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 09 თებერვლის NMES 2 22 0000127427 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპულ სკოლაში" უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
2. წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული წესისა და პირობების სკოლის თანამშრომელთათვის გაცნობა დაევალოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

სოფიო ბაზაძე
დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა"

დამტკიცებულის შპს „ევროპული სკოლის“
დირექტორის 2022 წლის ------- თებერვლის
N---------- ბრძანებით

შპს „ევროპულ სკოლაში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. შპს „ევროპულ სკოლაში“ (შემდგომში - „სკოლა“) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (შემდგომში - წესი) ადგენს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.
2. წესის მიზანია:

   ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

   ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

   გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;

   დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

   ე) სკოლის უსაფრთხოების სამსახურისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წესში გამოყენებულ ტერმინებს, წესის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

   ა) დარღვევის აღრიცხვის ფურცელი – უსაფრთხოების სამსახურის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია სკოლაში გამოვლენილი დარღვევის ან/და სავარაუდო დარღვევის ფაქტი;

   ბ) საინფორმაციო ბაზა – სპეციალური ფაილის სერვერზე განთავსებული საინფორმაციო ბაზა, რომელშიც დაფიქსირებულია სკოლის უსაფრთხოების სამსახურის მიერ სკოლაში გამოვლენილი დარღვევის ან/და სავარაუდო დარღვევის ფაქტები, ასევე ინფორმაცია თითოეულ დარღვევასთან დაკავშირებით უსაფრთხოების სამსახურის, მასწავლებლის, სკოლის დირექციის, დისციპლინური კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საინფორმაციო ბაზა უნდა იძლეოდეს სტატისტიკური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას სკოლაში გამოვლენილ დარღვევებთან/სავარაუდო დარღვევებთან და მათზე განხორციელებულ რეაგირებასთან დაკავშირებით;

   გ) უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი – ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

დ) საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად;

ე) სკოლის ადმინისტრაცია – სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებული შესაბამისი პირები (გარდა მასწავლებლისა).

ვ) სკოლის დირექცია – სკოლის დირექტორი ან/და ადმინისტრაციული მენეჯერი;

ზ) სასკოლო დრო – სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო;

თ) უსაფრთხოების სამსახური – სკოლის სტრუქტურული ერთეული, რომლის ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

ი) კანონიერი წარმომადგენელი – მოსწავლის მშობელი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ასევე, მათ მიერ უფლებამოსილი შესაბამისი პირი;

კ) სამინისტრო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

ლ) რესურსცენტრი – სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი;

მ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება – იმავე სქესის უსაფრთხოების სამსახურის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე ან/და ნივთის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით;

ნ)პროგრამის კოორდინატორი - პირი, რომელიც კოორდინირებას უწევს სკოლაში დანერგილი როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების, მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობასა და მათთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ო) მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური - სკოლის სტრუქტურული ერთეული, რომლის საქმიანობის მიზანსაც წარმოადგენს მოსწავლეების სწავლა - განვითარებისთვის ეფექტური სოციალურ-საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, მოსწავლეებში პრობლემების დიაგნოსტიკა და მათი დახმარებისათვის პირობების შექმნა; ასევე, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და მათი შემდგომი განვითარება.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მუხლი 3. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლა ვალდებულია:
   ა) განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები;
   ბ)უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
2. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება უსაფრთხოების სამსახურის საშუალებით, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის შენობის და იქ მყოფი პირების უსაფრთხოების დაცვაზე.
3. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე კონტროლის განხორციელება ევალება სკოლის დირექციას.
4. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფენ სკოლის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები.

5. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათავსოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა.

თავი II. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები

მუხლი 4. ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

1. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ვალდებულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განათავსოს:
   ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომში – 112);
   ბ) სამინისტროს ნომერი – 2 200 220;
   გ) სკოლის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ნომერი - 599 35 12 22;
   დ)სკოლის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ნომერი - 551 50 01 14;
   ე) სკოლის მოსწავლეთა კეთილდღეობაზე ზრუნვის სამსახურის უფროსის ნომერი - 599 71 59 49;
   ვ) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06 (1481).
2. სკოლა ვალდებულია მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების, ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 5. მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა

1. სკოლის ბავშვთა უფლებების დაცვის ოფიცერი და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი უზრუნველყოფენ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზების გზით.
2. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობა ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის, უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ სამართლებრივ აქტებს:
   ა) „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს;
   ბ) „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანებას;
   გ) „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანებას;
   დ) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებას;
   ე) სკოლის შინაგანაწესს.

3. მოსწავლეებისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა შესაძლებელია განხორციელდეს მისი ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით.
4. მოსწავლისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობის ღონისძიებები უნდა იყოს პოზიტიური ხასიათის მატარებელი და არ ისახავდეს მიზნად მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძებას, დასჯის შიშის შექმნას და სხვა, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასაკობრივი თავისებურებები.

მუხლი 6. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება

1. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ანონიმურობის დაცვით.
2. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების კითხვარი (შემდგომში – შეფასების კითხვარი) უნდა იძლეოდეს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი შემვსები პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზების შესაძლებლობას.
3. შეფასების კითხვარს შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი.
4. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება ხორციელდება **სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ**.
5. მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფენ პროგრამის კოორდინატორები კლასის დამრიგებლების ჩართულობით, ხოლო მასწავლებლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია.
6. შეფასების კითხვარის წერილობითი ფორმით შევსების შემთხვევაში, თითოეული პროგრამის კოორდინატორი კლასის დამრიგებლების ჩართულობით უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შევსებულ შეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის განზოგადებას სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით, მათ დაჯგუფებას შემვსები პირების სტატუსის გათვალისწინებით (მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები) და განზოგადებული ინფორმაციის მიწოდებას სკოლის დირექციისათვის.
7. შეფასების კითხვარის წერილობითი ფორმით შევსების შემთხვევაში, სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებლების მიერ შევსებული შეფასების კითხვარების განზოგადებას სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით, ინფორმაციის დაჯგუფებას შემვსები პირების სტატუსის და სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით.
8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული განზოგადებისას დაუშვებელია სკოლის დირექციის მიერ რომელიმე პრობლემის უგულებელყოფა.
9. შეფასების კითხვარის ელექტრონული ფორმით შევსების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული განზოგადება ხორციელდება ელექტრონული ფორმით.
10. სკოლის დირექცია ამ მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში

მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების გათვალისწინებას შემდგომი რეაგირებისთვის.

მუხლი 7. ძალადობის რისკების შეფასება სკოლაში

1. ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით, სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ განახორციელოს ძალადობის რისკების შეფასება მოსწავლეებში და მასწავლებლებში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასებისას დაცული უნდა იყოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანონიმურობა.
3. მოსწავლეებში ძალადობის რისკების შეფასება არის სკოლის მიერ ძალადობის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველი.

მუხლი 8. ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება

1. მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება შეუძლიათ სკოლის ფსიქოლოგებთან სატელეფონო/პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსულტაცია უნდა იძლეოდეს მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების ანონიმურობის დაცვის შესაძლებლობას.
3. ფსიქოლოგიური მომსახურების ფარგლებში სკოლის ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, ამასთან იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პრობლემის გადაჭრის მიზნით ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება, უწევს კონსულტაციას ამ მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული სერვისის მნიშვნელობას.
4. თუ აუცილებელია პრობლემის გადაჭრის მიზნით სოციალური მუშაკის მომსახურების მიღება, სკოლის ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას ამ მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული სერვისის მნიშვნელობას.

მუხლი 9. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

1. სკოლა ვალდებულია **სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ** აწარმოოს **მოსწავლეებისთვის** საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია:
   ა) ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;
   ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
   გ) ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;
   დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.
2. **მოსწავლეებისათვის** საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია სკოლამ შეიძლება აწარმოოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე:
   ა) დისკუსიების/დებატების მოწყობით;

ბ) საკლასო/სასკოლო ესეების კონკურსის გამართვით;

გ) საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსის გამართვით;

დ) სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებით;

ე) საკლასო/სასკოლო თეატრალური წარმოდგენების გამართვით;

ვ) ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებით;

ზ) როლური თამაშების გამართვით;

თ) სხვადასხვა ხასიათის კვირეულების მოწყობით (მაგ: დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული);

ი) მართლწესრიგის ოფიცერთან ან/და უბნის ინსპექტორთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით;

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიის/სამართლის/სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ან/და მაგისტრანტებისა და მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით;

ლ) შესაბამის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით.

3. სკოლა ვალდებულია **სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს** მოსწავლის **კანონიერ წარმომადგენლებთან** საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;

ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;

გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი;

ზ)სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

4. მოსწავლის **კანონიერ წარმომადგენლებთან** საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, სკოლა უფლებამოსილია:

ა) მიმართოს უსაფრთხოების სამსახურს;

ბ)მოიწვიოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიის/სამართლის/სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ან/და მაგისტრანტები;

გ) მოიწვიოს მართლწესრიგის ოფიცერი ან/და უბნის ინსპექტორი;

დ) მოიძიოს ღონისძიების ორგანიზატორი საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიის სახეები არ არის ამომწურავი და სკოლა უფლებამოსილია თავისი ინიციატივით განახორციელოს ისეთი ღონისძიება, რომელიც პასუხობს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებს და არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებში.

6. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

თავი III. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები

მუხლი 10. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა

1. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას წარმოადგენს:

ა) საგანგებო სიტუაციები (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.);

ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი (ფართო გავრცელების პოტენციალის მქონე) გადამდები დაავადების შემთხვევა სკოლაში (შემდგომში – გადამდები დაავადების შემთხვევა);

გ) სუიციდური აზრი, სუიციდის მცდელობა, სუიციდი;

დ) თვითდაზიანება;

ე) ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენა ან სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება;

ვ) მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად;

ზ) მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ თამბაქოს, ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია, მოხმარება სკოლის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;

თ) მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული, ასევე მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე;

ი) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა;

კ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა;

ლ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა;

მ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით;

ნ) მოსწავლის დესტრუქციული ქცევა;

ო) მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევა;

პ) მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის/სკოლის ქონების ხელყოფა;

ჟ) სხვა გარემოება ან/და ქმედება, რომელმაც შეიძლება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, სკოლის

გამართულ ფუნქციონირებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასევე სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და თანამშრომელთა ეთიკის კოდექსის დარღვევა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების ან/და ქმედებისას უსაფრთხოების სამსახურის/სკოლის დირექციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

მუხლი 11. საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საგანგებო სიტუაციების დროს წინამდებარე წესთან ერთად სკოლა ხელმძღვანელობს შიდა რეგულაციებით, კერძოდ: ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკით.
2. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლეებმა უნდა უზრუნველყოს სიმშვიდის შენარჩუნება და პანიკის აღკვეთა.
3. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი/სკოლის დირექცია საჭიროებისამებრ უკავშირდება „112"-ს, აცნობებს საგანგებო სიტუაციის თავისებურებებს, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის მიზეზს, სავარაუდო მასშტაბებს, არსებულ ვითარებას.
4. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი/სკოლის დირექცია უზრუნველყოფენ სკოლის შენობაში მყოფი პირების უსაფრთხოებას.
5. კლასის დამრიგებელი აღრიცხავს თავისი კლასის მოსწავლეებს, ადგენს და აღრიცხავს დაკარგული ადამიანების რაოდენობასა და ვინაობას და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის პირებს.
6. კლასის დამრიგებელი/პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
7. სკოლის დირექტორი/ადმინისტრაციული მენეჯერი ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციების შესახებ შეატყობინონ უფლებამოსილ ორგანოებს.
8. საგანგებო სიტუაციის დროს, სიტუაციის გათვალისწინებით, რეკომენდებულია:
   ა) გაზის, ელექტროხელსაწყოების, წყალსადენი ქსელის გათიშვა;
   ბ)შენობაში არსებული დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის შეძლებისდაგვარად განთავსება შენობის უსაფრთხო ნაწილში.
9. საგანგებო სიტუაციის მართვას დაქვემდებარებისთანავე, უსაფრთხოების სამსახური/ ფსიქოლოგები უზრუნველყოფენ მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მდგომარეობის პირველად შეფასებას.
10. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე სკოლის დირექტორი მიმართავს სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ.
11. გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი (შემდგომში – მინისტრი) სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 12. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი გადამდები დაავადების შემთხვევის დროს

1. სკოლაში გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლენისას სკოლა წინამდებარე წესის გარდა ხელმძღვანელობს სკოლის შიდა რეგულაციებით, კერძოდ, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე, სამედიცინო პოლიტიკით.
2. სკოლაში გადამდები დაავადებების შემთხვევის გამომვლენი პირი დაუყოვნებლივ აცნობებენ სკოლის დირექციას.
3. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია/ექიმი უზრუნველყოფს სკოლაში სიმშვიდის შენარჩუნებას.
4. სკოლის ექიმი/უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია უზრუნველყოფს დაავადებაზე საეჭვო ყველა პირის (ბავშვი/თანამშრომელი) იზოლირებას სხვა პირებისგან.
5. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია უზრუნველყოფს დაავადებულთან კონტაქტირებული პირების იდენტიფიცირებას და მათ იზოლირებას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა და სხვა პირებისაგან.
6. სკოლის ექიმი/უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს გადამდებ დაავადებაზე საეჭვო პირებზე დაკვირვებას/მეთვალყურეობას სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე, ასევე საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.
7. სკოლის ექიმი/უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს სასწრაფო დახმარების ბრიგადის ინფორმირებას შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსის ხაზგასმით (მაგ, ნიშნები, ზუსტი დრო, ადგილი, გატარებული ღონისძიებები და ა.შ.) და, საჭიროების შემთხვევაში, ასრულებს მათ მითითებებს.
8. სკოლის დირექცია/პროგრამის კოორდინატორი/კლასის დამრიგებელი/ მომხდარის შესახებ ატყობინებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს/დაავადებულის ოჯახს, რა დროსაც რეკომენდებულია შესაბამის პირს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს/ოჯახის წევრს მიაწოდოს მოსწავლის/პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
9. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი პირებისათვის.
10. სკოლის ექიმი/ დირექცია უზრუნველყოფს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე.
11. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების მიზნით გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს მინისტრი, სკოლის დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 13. სუიციდური აზრი

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ, ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სამსახურის/ მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის უფროსს, რომლებიც ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ სუიციდური აზრის მქონე მოსწავლის კლასის დამრიგებელს/ პროგრამის კოორდინატორს/ფსიქოლოგს.
2. ინფორმაციის მიღებისთანავე, უსაფრთხოების სამსახური/მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის წარმომადგენლები/სკოლის დირექცია/კლასის დამრიგებელი ესაუბრება და ამშვიდებს მოსწავლეს.

3. დაუშვებელია მოსწავლისათვის დაპირების მიცემა, რომ არ მოხდება მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლისათვის / სკოლის დირექციისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის/ ფსიქოლოგისათვის/კლასის დამრიგებლისათვის.
4. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში გამოცხადებამდე დაუშვებელია მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ.
5. მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურისათვის/მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის წარმომადგენლებისათვის / სკოლის დირექციის/მოსწავლის კლასის დამრიგებლისათვის / პროგრამის კოორდინატორისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის.
6. სკოლის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის ჩართვა, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

მუხლი 14. სუიციდის მცდელობა

1. მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე ყველა პირი ვალდებულია შეეცადოს, შეაჩეროს სუიციდის მცდელობა.
3. მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე პირი/უსაფრთხოების სამსახური/მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის წარმომადგენლები/სკოლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112"-ს, ხოლო შემდგომ ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს უსაფრთხოების სამსახურს/სკოლის დირექციას.
4. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის ექიმი/მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გამოცხადნენ შემთხვევის ადგილას და უზრუნველყონ მოსწავლისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.
5. სკოლის დირექტორი მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.
6. უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს თვითმხილველი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას, დამშვიდებასა და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას.
7. დაუშვებელია სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის უმეთვალყურეოდ დატოვება, კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის მოსვლამდე.
8. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია მომხდარის შესახებ ინფორმაციას აწვდის კლასის დამრიგებელს/პროგრამის კოორდინატორს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისთვის, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს/პროგრამის კოორდინატორს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
9. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს და თვითმხილველ მოსწავლეებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

11. უსაფრთხოების სამსახური სუიციდური აზრის მქონე მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სუიციდის მცდელობის ფაქტის შემსწრე მოსწავლეს ამისამართებს სკოლის ფსიქოლოგთან.

მუხლი 15. სუიციდი

1. სკოლაში სუიციდის შემთხვევაში, სუიციდის ფაქტის შემსწრე პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს „112"-ს, ხოლო შემდგომ უსაფრთხოების სამსახურს/მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის წარმომადგენლებს/სკოლის დირექციას.
2. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია /მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ თვითმხილველი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას, დამშვიდებასა და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას.
3. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია უზრუნველყოფს შემთხვევის ადგილის დაცვას / გადაკეტვას.
4. სკოლის დირექცია სუიციდის შესახებ ატყობინებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს/კანონიერ წარმომადგენლს მხოლოდ პოლიციის მიერ გარდაცვლილის იდენტიფიცირების შემდეგ.
5. სკოლის დირექტორი სუიციდის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.
6. სუიციდის თვითმხილველი მოსწავლეების კლასის დამრიგებელი/პროგრამის კოორდინატორი სუიციდის ფაქტის შესახებ ინფორმაციას ატყობინებს სუიციდის თვითმხილველი მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.
7. სკოლის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის ჩართვა, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, სუიციდის თვითმხილველ მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებს და ახორციელებეს სიტუაციის პირველად მართვას.
8. დაუშვებელია სკოლის ტერიტორიაზე დაღუპული მოსწავლის მუდმივი გასახსენებელი ადგილის მოწყობა და რაიმე სახის სამგლოვიარო რიტუალის ჩატარება (პანაშვიდი, გასვენება და ა.შ.).

მუხლი 16. თვითდაზიანება

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს უსაფრთხოების სამსახურს/სკოლის დირექციას, რომლებიც თავის მხრივ ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლის კლასის დამრიგებელს/პროგრამის კოორდინატორს.
2. ინფორმაციის მიღებისთანავე, უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია / კლასის დამრიგებელი/ პროგრამის კოორდინატორი ესაუბრება მოსწავლეს და იკვლევს თვითდაზიანების მიზეზს.
3. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია /კლასის დამრიგებელი/პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას.
4. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებულია, თვითდაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება თვითდაზიანების განმახორციელებელ მოსწავლესა და კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს და ახორციელებეს სიტუაციის პირველად მართვას.

5. უსაფრთხოების სამსახური ამისამართებს თვითდაზიანების განმახორციელებელ მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან.
6. მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის/სკოლის დირექციის/მოსწავლის კლასის დამრიგებლის/კანონიერი წარმომადგენლისა და ფსიქოლოგისთვის.

მუხლი 17. ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენა

1. ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენისას უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებული არიან უზრუნველყონ:
   ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;
   ბ) „112"-თან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე რესურსცენტრის ინფორმირება.
2. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს:
   ა) იმ პირთა აღწერას, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;
   ბ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.
3. უსაფრთხოების სამსახური აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფენ ევაკუირებული მოსწავლის/მოსწავლეების მდგომარეობის შეფასებას.
4. უსაფრთხოების სამსახური, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან.

მუხლი 18. სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება

1. ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ ანონიმური ზარების მიმღებმა პირმა აუცილებელია სატელეფონო საუბრის დროს შეინარჩუნოს მშვიდი ტონი და გაახანგრძლივოს საუბრის დრო, დროის მოგებისა და ინფორმაციის მოპოვების მიზნით დამატებითი კითხვების დასმით. დროის მოგება ასევე შესაძლებელია შემდეგი გზებით: ზარის განმახორციელებელი პირის მონაცემების/გამონათქვამების ნაწილობრივ არასწორად/არასრულყოფილად გამეორებით (სიფრთხილით, გადაჭარბების გარეშე); ცუდი, უხარისხო კავშირის გათამაშებით; რაც შეიძლება ზუსტი მონაცემების მოთხოვნით (აღნიშნული წერილობით უნდა იქნეს ასახული).
2. იმ შემთხვევაში, თუ ანონიმური ზარის მიმღებს აქვს შესაძლებლობა, რეკომენდებულია ტელეფონის ხმამაღალ რეჟიმზე ჩართვა და საუბრის მიმდინარეობისას „112"-თან დაკავშირება.
3. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებული არიან ანონიმური ზარის დასრულებისთანავე უზრუნველყონ:
   ა) „112"-თან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე რესურსცენტრის ინფორმირება;
   ბ) მოსწავლეების, მასწავლებლების და სკოლის შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება.
4. თითოეული კლასის დამრიგებელი/პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს:
   ა) იმ პირთა აღწერას, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;

ბ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია.

5. უსაფრთხოების სამსახური, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ ევაკუირებული მოსწავლის/მოსწავლეების მდგომარეობის შეფასებას.
6. უსაფრთხოების სამსახური, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან

მუხლი 19. მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს უსაფრთხოების სამსახურს/სკოლის დირექციას მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონის შესახებ, ასევე იმ საგნის ქონის შესახებ, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონის შესახებ, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად.
2. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება, რომლის მიზანია უსაფრთხოების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენა, იმ საგნის აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომით/სამართალდარღვევით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად.
3. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ სკოლის ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად გამოვლინდება სკოლის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა ან/და შესაძლო სამართალდარღვევა.
4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის გადამალვა ან/და რაიმე ფორმით განადგურება. უსაფრთხოების სამსახური უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ზომები მოსწავლის აღნიშნული ქმედების თავიდან ასაცილებლად.
5. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლებამოსილება აქვს იმავე სქესის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს. ამ პუნქტიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში არ არის მოსწავლის შესაბამისი სქესის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი.

7. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება უსაფრთხოების სამსახურის ან/და სკოლის თანამშრომლის ინიციატივით.
8. მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე, ასევე მოსწავლის ნივთის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით.
9. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას წინ უნდა უსწრებდეს უსაფრთხოების სამსახურისმიერ მოსწავლის გაფრთხილება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ და მოწოდება, რომ ნებაყოფლობით, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთები გადასცეს პირს, რომელმაც უნდა ჩაატაროს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება.
10. თუ მოსწავლის მიერ წარმოდგენილია ან უსაფრთხოების სამსახურის მიერ აღმოჩენილია იმგვარი სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთები, რომლის მოსწავლის მიერ ფლობაზე რეაგირებაც საქართველოს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა, უსაფრთხოების სამსახური დაუყოვნებლივ აცნობებს სამართალდამცავ ორგანოს.
11. აღმოჩენილი ნივთები უსაფრთხოების სამსახურის მიერ გადაეცემა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ან სამართალდამცავ ორგანოს, ნივთის/საგნის ხასიათის გათვალისწინებით.
12. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისას უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია:
   ა) იმოქმედოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის ღირსების სრული დაცვით;
   ბ) იყოს თავაზიანი, მომთმენი, იმოქმედოს მშვიდად და ისაუბროს მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე;
   გ) მოსწავლეს არ შეუზღუდოს იმ ნივთებით სარგებლობა, რომელიც არ აფერხებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების მიმდინარეობას, ასევე, არ ჩამოართვას ის ნივთები, რომელიც არ წარმოადგენდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების მიზანს;
   დ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება არ ჩაატაროს ჯგუფურად.
13. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას დამატებით უნდა ესწრებოდეს სკოლის თანამშრომელი, რომელსაც განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.
14. უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიმართ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ.
15. მოსწავლისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლის დირექცია ვალდებულია დაიწყოს მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება.
16. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის უსაფრთხოების სამსახურისათვის გადაცემაზე, უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია დაიწყოს მოსწავლის განცალკევების პროცედურა.
17. უსაფრთხოების სამსახური, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას.
18. უსაფრთხოების სამსახური, ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან.

19. უსაფრთხოების სამსახური ადგენს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ ოქმს.

მუხლი 20. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია, მოხმარება სკოლის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა

1. ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილია მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანის, რეალიზაციის, მოხმარების სკოლის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უსაფრთხოების სამსახურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის დირექციას.
2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსწავლეს აქვს ალკოჰოლი ან/და ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება უსაფრთხოების სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ამ წესის მე-19 მუხლით დადგენილი წესით.
3. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მასწავლებელს/სკოლის სხვა თანამშრომელს აქვს ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „112"-ს.
4. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებულია მოსწავლისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს:

   ა) „112"-ს;

   ბ) მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

   გ) შესაბამის რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.
5. უსაფრთხოების სამსახური ამისამართებს მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან.

მუხლი 21. მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული

1. საპატიო მიზეზით მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია შეატყობინოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს შესაბამისი საგნის მასწავლებლის ინფორმირებას.
2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ შესაბამისი საგნის მასწავლებელი არ არის ინფორმირებული, შესაბამისი საგნის

მასწავლებელი მოსწავლის დაგვიანების/საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს კლასის დამრიგებელს. კლასის დამრიგებელი ვალდებულია მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შეატყობინოს აღნიშნული ფაქტის შესახებ და დაადგინოს მისი მიზეზი.

3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ, კლასის დამრიგებელი ვალდებულია აღნიშნული აცნობოს უსაფრთხოების სამსახურსა და სკოლის დირექციას.
4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა საგაკვეთილო პროცესზე და აღნიშნულის შესახებ არ არის ინფორმირებული მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, ამასთან ვერ ხერხდება მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „112"-ს.
5. თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა/დაგვიანება გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, სკოლა ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლის დირექცია/უფლებამოსილი პირი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის ფსიქოლოგის ინფორმირება/გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

მუხლი 22. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე

1. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლის დატოვება დაუშვებელია შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე.
2. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე კლასის ან/და სკოლის დატოვების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი საგნის მასწავლებელი/ნებისმიერი პირი დაუყოვნებლივ აწვდის უსაფრთხოების სამსახურს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას კლასის დამრიგებლისთვის.
3. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე კლასის ან/და სკოლის დატოვების შესახებ კლასის დამრიგებელი/პროგრამის კოორდინატორი დაუყოვნებლივ აცნობებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის/უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან ვერ ხორციელდება მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა, უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია დაუყოვნებლივ ატყობინებს „112"-ს.
5. მოსწავლის ადგილსამყოფლის იდენტიფიცირებისა და მისი სკოლაში გამოცხადების შემდგომ, უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია წარმომადგენელი უზრუნველყოფს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრებასა და სიტუაციის მართვას.
6. უსაფრთხოების სამსახური, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას.
7. უსაფრთხოების სამსახური ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან.

მუხლი 23. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის ჩადენის ფაქტის ცოდნის ან ასეთის ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სამსახურს/სკოლის დირექციას.
2. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის შესაძლო შემთხვევებია:
   ა) მოსწავლის ძალადობა მოსწავლის მიმართ;
   ბ) მოსწავლის მიმართ ძალადობა უცხო პირის მხრიდან;
   გ) მოსწავლის მიმართ ძალადობა მასწავლებლის მხრიდან;
   დ) მოსწავლის მიმართ ძალადობა სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან;
   ე) მოსწავლის მიმართ ძალადობა უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან;
   ვ) ოჯახში ძალადობა.
3. მოსწავლის მიმართ მოსწავლის ან/და უცხო პირის მიერ ძალადობის შემთხვევაში:
   ა) უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებულია დაუკავშირდეს „112"-ს, რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
   ბ) უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს მოსწავლე ან/და მოსწავლეებისა და უცხო პირის განცალკევებას ამ წესის შესაბამისად;
   გ) უსაფრთხოების სამსახური/მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას და შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან.
4. მოსწავლის მიმართ მასწავლებლის ან/და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში:
   ა) უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია უკავშირდება „112"-ს;
   ბ) უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
   გ) რესურსცენტრი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;
   დ) უსაფრთხოების სამსახური/ მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას და შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან..
5. მოსწავლის მიმართ უსაფრთხოების სამსახურის ძალადობის შემთხვევაში:
   ა) სკოლის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112"-ს, უსაფრთხოების სამსახურს, რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
   ბ) რესურსცენტრი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს სამინისტროს შესაბამის სტრუქუტურულ ქვედანაყოფს;
   გ) სკოლის დირექცია /მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას;
   დ) სკოლის დირექცია ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ამისამართებს მოსწავლეს სკოლის ფსიქოლოგთან.
6. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:
   ა) უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112"-ს;

ბ) უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

7. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, სკოლა ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად.
8. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით, მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტითა და მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე სკოლის მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას (მხარდამჭერ ღონისძიებებს) მოსწავლისა და ოჯახის მხარდაჭერის მიზნით.

მუხლი 24. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევის ან/და სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სამსახურს/სკოლის დირექციას.
2. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექციადაუყოვნებლივ უკავშირდება „112"-ს.
3. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია, შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ სამართალდარღვევის აღკვეთასა და სამართალდარღვევის ადგილის შემოსაზღვრას.
4. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სამართალდარღვევის თვითმხილველი მოსწავლეების გარიდებას, მათზე მეთვალყურეობას და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).
5. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია უზრუნველყოფს დამრღვევი/დაზარალებული/თვითმხილველი მოსწავლეების კლასის დამრიგებლებისათვის/პროგრამის კოორდინატორებისათვის ინფორმაციის შეტყობინებას, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს დამრღვევი/დაზარალებული/თვითმხილველი მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.
6. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია , საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს უსაფრთხოების სამსახურის ფსიქოლოგის გამოძახებას, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
7. უსაფრთხოების სამსახური ამისამართებს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის ფსიქოლოგთან.
8. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას რესურსცენტრისთვის, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას აწვდის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.
9. სკოლის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს სამინისტროსთან შეუთანხმებლად ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა.

მუხლი 25. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა

1. სკოლაში მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენის შემთხვევის გამოვლენისას სკოლა წინამდებარე წესის გარდა ხელმძღვანელობს სკოლის შიდა რეგულაციებით, კერძოდ, ანტი-ბულინგის პოლიტიკით განსაზღვრული პროცედურებით.
2. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურს/პროგრამის კოორდინატორს.
3. თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი ან კიბერბულინგი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112"-ს.
4. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია დაადგინოს ბულინგის/კიბერბულინგის მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.
5. დაუშვებელია ბულინგის/კიბერბულინგის ფაქტის იგნორირება. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია უზრუნველყოს კონფლიქტის მოგვარების დროს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყონ მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.
6. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია დააკვირდეს როგორც ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი.
7. სკოლის დირექცია /მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი.
8. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული ბულინგის ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ფსიქოლოგის ჩართვა, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.

მუხლი 26. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით

1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურს/პროგრამის კოორდინატორს.
2. თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112"-ს.
3. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის მიზეზები, გაესაუბრონ ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.
4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის იგნორირება. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია

უზრუნველყოს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.

5. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია დააკვირდეს როგორც დისკრიმინაციის განმახორციელებელ მოსწავლეს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია.
6. სკოლის დირექცია/მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური/პროგრამის კოორდინატორი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია დისკრიმინაციის განმახორციელებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია.
7. მოსწავლეთ კეთილდღეობის სამსახურის უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, მოსწავლე შესაძლებელია გადამისამართდეს სკოლის ფსიქოლოგთან.

მუხლი 27. მოსწავლის დესტრუქციული ქცევა

1. მოსწავლის დესტრუქციული ქცევაა გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა, ასევე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლის, უსაფრთხოების სამსახურისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობა.
2. თუ მოსწავლე ამა თუ იმ ფორმით ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს, არ ითვალისწინებს მასწავლებლის შენიშვნებს, მასწავლებელი ვალდებულია მაქსიმალურად შეეცადოს მის სასწავლო პროცესში ჩართვას. თუ ვერ მოხერხდა მოსწავლის ქცევის დარეგულირება, მასწავლებელი იძახებს უსაფრთხოების სამსახურს/პროგრამის კოორდინატორს და მოსწავლეს მათი თანხლებით ატოვებინებს საგაკვეთილო პროცესს.
3. დაუშვებელია საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლეების ჯგუფურად გაშვება.
4. უსაფრთხოების სამსახური/პროგრამის კოორდინატორი სკოლის დირექციის ჩართულობით ფაქტის შესახებ ინფორმაციას აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
5. გაკვეთილის დასრულებამდე/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მოსვლამდე მოსწავლე უნდა იმყოფებოდეს უფლებამოსილი პირის/სკოლის დირექციის მეთვალყურეობის ქვეშ.
6. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლის, პროგრამის კოორდინატორის, უსაფრთხოების სამსახურისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
7. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში გამოცხადებამდე უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექციავალდებულია მოსწავლე არ დატოვოს უმეთვალყურეოდ.
8. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სკოლის შენობას დატოვებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში გამოცხადებამდე, პროგრამის კოორდინატორი/სკოლის დირექცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექციადაუყოვნებლივ ატყობინებს „112"-ს.
9. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას.
10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, მოსწავლე შესაძლებელია გადამისამართდეს სკოლის ფსიქოლოგთან.

მუხლი 28. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევა

1. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ნებისმიერი პირი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სამსახურს/პროგრამის კოორდინატორს/სკოლის დირექციას.
2. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უსაფრთხოების სამსახური/ სკოლის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112"-ს.
3. უსაფრთხოების სამსახური/პროგრამის კოორდინატორი/სკოლის დირექცია /კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევის შესახებ ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები.
4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის ფაქტის იგნორირება. უსაფრთხოების სამსახური/პროგრამის კოორდინატორი/სკოლის დირექცია ვალდებულია სიტუაცია შეაფასოს მიუკერძოებლად და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება.
5. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია /პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია დააკვირდეს მხარეებს სიტუაციის მოგვარების შემდეგაც. თუ მოსწავლე შემთხვევის შემდეგ სკოლაში არ დადის, სკოლის დირექცია /პროგრამის კოორდინატორი/კლასის დამრიგებელი ადგენს მიზეზს და შეიმუშავებს გეგმას მისი სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის.
6. სკოლის დირექცია /პროგრამის კოორდინატორი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სიტუაციაში მონაწილე მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს.
7. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას.
11. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, მოსწავლე შესაძლებელია გადამისამართდეს სკოლის ფსიქოლოგთან.

მუხლი 29. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის/სკოლის ქონების ხელყოფა

1. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის/სკოლის ქონების ხელყოფის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უსაფრთხოების სამსახურს/სკოლის დირექცია.
2. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია დაუყოვნებლივ უკავშირდება „112"-ს.
3. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია /კლასის დამრიგებელი/პროგრამის კოორდინატორი ვალდებულია ფოტოზე ასახოს მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის/სკოლის ქონების ხელყოფის შედეგი.
4. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის/სკოლის ქონების ხელმწყოფი მოსწავლის დადგენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია შესაბამის პირს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

5. მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველზე, მოსწავლე შესაძლებელია გადამისამართდეს სკოლის ფსიქოლოგთან.

მუხლი 30. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება

1. მოსწავლის/მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის/მოსწავლეების ქმედებით საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ წესის მე-19 და მე-20 მუხლებით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ამ წესის მე-19 და მე-20 მუხლებით გათვალისწინებული ნივთის უსაფრთხოების სამსახურისათვის გადაცემაზე.
2. უსაფრთხოების სამსახური/სკოლის დირექცია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სკოლის ფსიქოლოგის გამოძახებას, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია უსაფრთხოების სამსახურის/სკოლის დირექციის / მასწავლებლის მეთვალყურეობით განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვა შემდეგ სასკოლო აქტივობებში: მომდევნო დღის გაკვეთილების მომზადება; საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობა; საგანმანათლებლო რესურსების შექმნა/განახლება; კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობა და, ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული სხვა აქტივობები.
4. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევების მომენტიდან უსაფრთხოების სამსახურის/მასწავლებლის/სკოლის დირექციის მიერ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგის ან/და სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს ისეთ მიზნებს, როგორიცაა მოსწავლის/მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისკის შემცირება და მოსწავლის/მოსწავლეების ქცევის მართვა.
5. მოსწავლის განცალკევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მოსწავლის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოს.
6. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში გამოცხადებამდე.
7. მოსწავლის განცალკევების უფლება აქვს უსაფრთხოების სამსახურს.
8. მოსწავლის განცალკევების განხორციელებისას უსაფრთხოების სამსახური მოსწავლეს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტავს იმ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მოსწავლის განცალკევება.
9. უსაფრთხოების სამსახური ადგენს მოსწავლის განცალკევების განხორციელების შესახებ ოქმს.

მუხლი 31. მდგომარეობის მართვა

1. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის პირველადი შეფასება ხორციელდება:
   ა) ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში – უსაფრთხოების სამსახურის მიერ კითხვარების გამოყენებით.
   ბ) ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში – მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის კითხვარების გამოყენებით მიერ.
2. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის პირველადი შეფასების კითხვარს ამტკიცებს სკოლის დირექტორი. კითხვარების ფორმების დამტკიცებამდე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის ფსიქოლოგების ჩართულობას შემთხვევათა მართვის პროცესში შემთხვევის ადგილზე დროულად გამოცხადების ან მათთან სატელეფონო/ონლაინ კონსულტაციის/შეხვედრების ორგანიზებით.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასება არის მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის შემდგომი მართვის მიზნით რეფერირების (შემდგომში – რეფერირება) საფუძველი.
4. რეფერირებას ახორციელებს უსაფრთხოების სამსახური მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით.
5. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის შემდგომი მართვის მიზნით, ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს სკოლის ფსიქოლოგი.
6. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვისას მიღებული/მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები) არის კონფიდენციალური და დაუშვებელია მისი გასაჯაროება და მესამე პირისთვის გამჟღავნება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შესაბამისად, ნებისმიერი პირი ვალდებულია მკაცრად დაიცვას აღნიშნული მოთხოვნა.
7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კითხვარების შენახვის ვადა განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 32. ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა

1. მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ან/და მასწავლებლებისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფენ სკოლის ფსიქოლოგები.
2. ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის საფუძველია:
   ა) უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ან/და მასწავლებლის რეფერირება;
   ბ) მოსწავლის მიერ სკოლის ფსიქოლოგისათვის მიმართვა;
   გ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სკოლის ფსიქოლოგისათვის მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის მოთხოვნით მიმართვა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაუშვებელია მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მისი კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდებას და ამ მიზნით ბავშვთა დაცვის მიმართის ბარათის შევსებას „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად.
5. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მოსწავლის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის ფარგლებში, სკოლის ფსიქოლოგი უზრუნველყოფს შესაბამისი კონსულტაციების გაწევას მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მასწავლებლებისთვის, კლასის დამრიგებლისთვის, უსაფრთხოების სამსახურისთვის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, ასევე სხვა პირებისათვის, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ მოსწავლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე.

მუხლი 33. მედიაცია

1. სკოლა ვალდებულია მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში უზრუნველყოს დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიაცია (მოლაპარაკების წარმოება), მათი კანონიერი წარმომადგენლების, უსაფრთხოების სამსახურის/სკოლის ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით.
2. სკოლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მედიაციის სტანდარტული გეგმის შემუშავებას. მედიაციის სტანდარტული გეგმის გამოყენება აუცილებლად ხდება იმ შემთხვევებში, როცა არსებობს კონფლიქტის გაგრძელების საფრთხე და მისი მოგვარება შეუძლებელია „შპს „ევროპული სკოლის“ ანტიბულინგის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 09 ნოემბრის N1/1/67 ბრძანებით გათვალისწინებული სტანდარტული პროცედურებით.
3. სკოლა, კონფლიქტური სიტუაციის ხასიათის გათვალისწინებით, ატარებს მედიაციის სტანდარტული გეგმისგან განსხვავებულ ისეთ ღონისძიებებს, რომელიც მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიმართული იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ.

თავი IV. ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოების წესი

მუხლი 34. ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოების წესი

1. ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების სამსახური. აღნიშნული პირები პასუხისმგებელი არიან ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე და უსაფრთხოებაზე.
2. უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია სკოლის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევა ან სავარაუდო დარღვევა დარღვევის/სავარაუდო დარღვევის გამოვლენის დღიდან სამ სამუშაო დღეში ასახოს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში, ხოლო ობიექტური გარემოების გათვალისწინებით აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში – არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა.
3. უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია გამოვლენილი დარღვევა ან სავარაუდო დარღვევა, რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მოსწავლისა და სხვა პირთა სიცოცხლეს ან/და

ჯანმრთელობას ან/და ქონებას, დარღვევის/სავარაუდო დარღვევის გამოვლენისთანავე ასახოს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში. ამასთან, აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს, სკოლის დირექციასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.

4. უსაფრთხოების სამსახური გამოვლენილ დარღვევას/სავარაუდო დარღვევას ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში ასახავს დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შევსებით.
5. უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში შეტანის დასრულებისთანავე, უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია დარღვევის აღრიცხვის ფურცლის ელექტრონული ვერსია წარუდგინოს სკოლის დირექციას.
6. სკოლის დირექცია ვალდებულია გამოვლენილი დარღვევის შესახებ დარღვევის აღრიცხვის ფურცლის მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა, უზრუნველყოს მოსწავლის მიმართ მოსწავლის ეთიკის კოდექსითა და სკოლის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაწყება.
7. სკოლის დირექცია ვალდებულია სავარაუდო დარღვევის შესახებ დარღვევის აღრიცხვის ფურცლის მიღების საფუძველზე დაიწყოს სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლა და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, ხოლო დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, უზრუნველყოს მოსწავლის მიმართ სკოლის რეგულაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
8. სკოლის დირექცია ვალდებულია გამოვლენილ დარღვევაზე/სავარაუდო დარღვევაზე მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ უსაფრთხოების სამსახურს.
9. უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია არაუგვიანეს ინფორმაციის მიწოდებიდან მომდევნო სამუშაო დღისა, ასახოს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში.
10. ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაცია ინახება მოსწავლის სტატუსის ვადით, რის შემდეგაც ინფორმაცია უნდა წაიშალოს.
11. უსაფრთხოების სამსახურის მიერ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, შეცვლა, გამჟღავნება ან ნებისმიერი სხვა უკანონო დამუშავება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

მუხლი 35. ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაციის დამუშავება უსაფრთხოების სამსახურის სამსახურის მიერ

უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს ელექტრონული საინფორმაციო ბაზის ადმინისტრირებასა და ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაციის უსაფრთხოებას, ასევე, ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაციის დამუშავებასა და სკოლაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას.

თავი V. უსაფრთხოების სამსახურის მიერ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების მიცემისა და უკუკავშირის წესი

მუხლი 36. უსაფრთხოების სამსახურის მიერ სკოლისათვის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების მიცემა

1. უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს სკოლისათვის კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავებას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რეკომენდაციებს უსაფრთხოების სამსახური შეიმუშავებს:

   ა) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზების საფუძველზე;

   ბ) მოსწავლეებში მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიერ ძალადობის რისკების შეფასების საფუძველზე;

   გ) ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე;
3 ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე უსაფრთხოების სამსახური შეიმუშავებს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის რეკომენდაციებს და უგზავნის დირექციას.
2. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახური უზრუნველყოფს უსაფრთხოების სამსახურისათვის და სკოლის დირექციისათვის ძალადობის რისკების შემცირებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიცემას წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით.

მუხლი 37. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე რეკომენდაციების განხორციელებასთან დაკავშირებით უკუკავშირის წესი

1. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე უსაფრთხოების სამსახურის/მოსწავლეთა კეთილდღეობის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

თავი VI. სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი

მუხლი 38. სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვის წესი

1. სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვა.
2. სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სკოლის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
3. დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება სკოლის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, სამასწავლებლოში. საკლასო ოთახში ვიდეოთვალთვალი შესაძლებელია განხორციელდეს გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის, ასევე, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისათვის (მაგალითად, გაკვეთილებს შორის შესვენებების პერიოდში, როდესაც საკლასო ოთახში არ იმყოფება მასწავლებელი, კლასში მყოფი მოსწავლეების დაცვა სკოლაში აკრძალული ნივთების ერთმანეთისთვის ან მესამე პირების მხრიდან

შეთავაზებისგან, მოსწავლეთა დაცვა ერთმანეთის მიმართ გამოვლენილი ძალადობის, შეურაცხყოფის შემთხვევებისგან და სხვა).

4. სკოლის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სკოლის გარე პერიმეტრის (მათ შორის სპორტული მოედანი, ბაღი, სკვერი, და სხვა) სრულად ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.
5. ვიდეოთვალთვალის სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოდაკვირვებას, უნდა შეესაბამებოდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
6. სკოლა ვალდებულია იზრუნოს სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე და უსაფრთხოების სამსახურის მიმართვის შემთხვევაში, უზრუნველყოს ყველა იმ ხარვეზის გამოსწორება და პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უსაფრთხოების სამსახურის მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემით სარგებლობისას.

მუხლი 39. სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირების წესი

1. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების სამსახური.
2. სკოლა ვალდებულია სკოლის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემით ვიდეოჩაწერა აწარმოოს მთელი სასკოლო დროის განმავლობაში, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემით ვიდეოჩაწერა – მუდმივად.
3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, სკოლაში მიმდინარე ვიდეო მეთვალყურეობასთან დაკავშირებით, სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნების მეშვეობით ინფორმირებულია ყველა სუბიექტი.
4. ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული და მყარ დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ინფორმაცია, შესაბამისი ჩანაწერებით, არანაკლებ 30 დღისა უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაცულ ადგილზე და დასაბუთებული მოთხოვნისთანავე უნდა წარედგინოს სკოლის დირექციას, ასევე სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. უსაფრთხოების სამსახური უფლებამოსილია უზრუნველყონ ვიდეოჩანაწერის ადგილზე გაცნობა მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის.
6. მყარ დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ინფორმაციის შენახვაზე და კონფიდენციალურობის დაცვაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების სამსახური. სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს მყარ დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ინფორმაციის შესანახად სათანადოდ დაცული ადგილის გამოყოფა უსაფრთხოების სამსახურისთვის.

თავი VII. უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის წესი

მუხლი 40. უსაფრთხოების სამსახურის მიერ მართვის კოორდინაცია

1. უსაფრთხოების სამსახურის უფროსი განსაზღვრავს უსაფრთხოების თანამშრომელთა მიერ ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას.
2. უსაფრთხოების სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს:
   ა) შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარებას უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისათვის;
   ბ)უსაფრთხოების სამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების ზედამხედველობას და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას;
   გ)ადმინისტრაციული მენეჯერის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.
3. სკოლის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაზე.
4. უსაფრთხოების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობისა და კოორდინაციის მიზნით, დაადგინოს უსაფრთხოების სამსახურისათვის ინსტრუქციები იმ საკითხებზე, რომლებიც ამ წესით არ არის რეგულირებული.

მუხლი 41. უსაფრთხოების სამსახურის უფლება-მოვალეობები

1. უსაფრთხოების სამსახურის უფლება-მოვალეობებია:
   ა) სკოლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი;
   ბ)სკოლაში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება;
   გ) სკოლის შესაბამისი უფლებამოსილი პირის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ქცევის შესახებ;
   დ) კატასტროფის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) დროს მოსწავლეთა, სკოლაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვისა და ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა, აგრეთვე კატასტროფისათვის მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვაში, მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
   ე) კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება;
   ვ) დამოუკიდებლად ან სკოლის დირექციასთან ერთად სკოლის ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა;
   ზ) სკოლაში გამოვლენილი დარღვევის შესახებ დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და სკოლის დირექციისათვის წარდგენა;
   თ) სკოლაში ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირება;
   ი) მოსწავლის განცალკევება ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
   კ)საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენის, იმ საგნის აღმოჩენის, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის აღმოჩენის მიზნით, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება მეტალოდეტექტორის გამოყენებით;
   ლ) წინამდებარე წესით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2. უსაფრთხოების სამსახური ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისას და მოვალეობების შესრულებისას თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.
3. უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.

მუხლი 42. უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო უზრუნველყოფა

1. უსაფრთხოების სამსახურის მიერ თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით, სკოლის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხოების სამსახური:
   ა) მოსწავლეების ბაზით და საკონტაქტო ინფორმაციით;
   ბ) მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ბაზით და საკონტაქტო ინფორმაციით;
   გ) დირექციისა და თითოეული კლასის დამრიგებლის (იმის მითითებით, თუ რომელი მოსწავლის კლასის დამრიგებელია) საკონტაქტო ინფორმაცია;
   დ) სკოლის შინაგანაწესით;
   ე) საგაკვეთილო ბადით;
   ვ) საევაკუაციო გეგმით.

მუხლი 43. უსაფრთხოების სამსახურის ქცევის ზოგადი წესი

1. უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია სკოლაში გამოცხადდეს მისი სამუშაო გრაფიკის/პროცესის დაწყებამდე ისეთ დროს, რომ მისი სამუშაო გრაფიკის/პროცესის დაწყებისას მოწესრიგებული და გადამოწმებული ჰქონდეს საკუთარი ეკიპირება, ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამართულობა, უსაფრთხოების სამსახურის აღჭურვილობის (რაცია, მეტალოდეტექტორი, ფანარი) რაოდენობა და გამართულობა. გამონაკლისი შემთხვევა უნდა შეთანხმდეს უსაფრთოების სამსახურის უფროსთან;
2. საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია:
   ა) მოაწესრიგოს საკუთარი ეკიპირება, გადაამოწმოს სკოლაში არსებული უსაფრთხოების სამსახურის აღჭურვილობის (რაცია, მეტალოდეტექტორი, ფანარი) რაოდენობა და გამართულობა, ხოლო გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს;
   ბ) შეამოწმოს ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამართულობა და გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს დირექციას და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს;
   გ) უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი სამსახურში გამოუცხადებლობის ან შეუძლოდ ყოფნის დროს ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსს.
3. დაუშვებელია უსაფრთხოების სამსახურის მიერ საკლასო ოთახში, საგაკვეთილო პროცესის დროს საკუთარი ინიციატივით შესვლა.
4. უსაფრთხოების სამსახურის შესვლა საკლასო ოთახში, საგაკვეთილო პროცესის დროს დასაშვებია, როდესაც:
   ა) უსაფრთხოების სამსახურის საკლასო ოთახში შესვლას ითხოვს შესაბამისი საგნის მასწავლებელი ან/და კლასის დამრიგებელი ან/და სკოლის დირექცია;
   ბ) საფრთხე ემუქრება საკლასო ოთახში მყოფთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას.

5. უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ასახვას ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში.

მუხლი 44. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერების წესი

1. უსაფრთხოების სამსახურის მიერ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ხორციელდება:
   ა) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით;
   ბ) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება.
2. სკოლაში განაწილებული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები:
   ა) ერთმა თანამშრომელმა უნდა უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით;
   ბ) ერთმა თანამშრომელმა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში ორზე მეტი უსაფრთხოების თანამშრომელია განაწილებული, ყველა დანარჩენმა, ურთიერთშეთანხმებით უნდა უზრუნველყონ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის განაწილება და არადისტანციური დათვალიერება.
3. საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, სკოლის გარე პერიმეტრის დათვალიერება ხორციელდება ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით. სკოლის გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერება სკოლის უსასფრთხოების სამსახურმა უნდა განახორციელოს სისტემატურად.
4. უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერებას ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით, დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს სხვა თანამშრომელს, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციურ დათვალიერებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თანამსღომლები შემთხვევის ადგილიდან არიან შორს და თვითონ უფრო მცირე ვადაში შეძლებს შემთხვევის ადგილზე მისვლას, თვითონ უზრუნველყოს შემთხვევის ადგილზე გასვლა.
6. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციურ დათვალიერებას, გამოვლენილი დარღვევის/სავარაუდო დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს უსაფრთხოების სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერებას ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით.
7. უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერებას ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით, შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას სკოლის დირექციისათვის, მოსწავლის კლასის დამრიგებლისათვის/პროგრამის კოორდინატორისათვის, ასევე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).

მუხლი 45. უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევები და წესი

1. უსაფრთხოების სამსახურს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. გამოყენებული ფიზიკური ძალა წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს.
2. უსაფრთხოების სამსახურს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით, აქვს შემდეგ შემთხვევებში:

ა) სამართალდარღვევის აღკვეთისას;

ბ) მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოსათვის წარსადგენად დამნაშავის შეპყრობისას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი მიიმალება ან გარშემომყოფთ ზიანს მიაყენებს.

3. ფიზიკური ძალის გამოყენების დროს უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია:

ა) გააფრთხილოს პირი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ და მისცეს მას საკმარისი დრო მისი მოთხოვნების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის უსაფრთხოების სამსახურის ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან გამოიწვევს სხვა მძიმე შედეგებს, ან როდესაც პირის გაფრთხილება შეუძლებელია;

ბ) ფიზიკური ძალა გამოიყენოს წარმოქმნილი საფრთხის ხასიათის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური უნდა იყოს;

გ) ნებისმიერ შემთხვევაში, ფიზიკური ძალის გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში, წერილობით, უსაფრთხოების სამსახურის სამსახურის უფროსის მეშვეობით შეატყობინოს ამის შესახებ სკოლის დირექციას;

დ) საფრთხე არ შეუქმნას გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

4. აკრძალულია ფიზიკური ძალის ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოქმედებით აშკარა საფრთხე ექმნება უსაფრთხოების სამსახურის ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
5. მოსწავლის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევაში ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სკოლის დირექტორსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.
6. უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევაში დგება უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი. ამ ოქმში სხვა ინფორმაციის მითითებასთან ერთად უნდა დასაბუთდეს ფიზიკური ძალის გამოყენების აუცილებლობა.

მუხლი 46. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების, მოსწავლის განცალკევებისა და უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმის შედგენის წესი

1. უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შემდგომ, უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს ოქმის შედგენას დანართი №1-ით გათვალისწინებული ფორმით.
2. უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოსწავლის განცალკევების შემდგომ, უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს ოქმის შედგენას დანართი №2-ით გათვალისწინებული ფორმით.
3. უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შემდგომ, უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს ოქმის შედგენას დანართი №3-ით გათვალისწინებული ფორმით.

მუხლი 47. უსაფრთხოების სამსახურის მიერ მეტალოდეტექტორის გამოყენების წესი

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას, უსაფრთხოების სამსახური იყენებს მეტალოდეტექტორს.

თავი VIII. უსაფრთხოების სამსახურის ქცევის ნორმები

მუხლი 48. უსაფრთხოების სამსახურის ქცევის ნორმები

1. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა სამსახურებრივი მოვალეობა ყოველთვის უნდა შეასრულოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, კანონის ფარგლებში, დაიცვას სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგი და უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოს შექმნა. პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, თავისუფლება და ღირსება.
2. უსაფრთხოების სამსახური არ ეწევა რელიგიურ ან პოლიტიკურ პროპაგანდას სკოლაში, იცავს კონფიდენციალობას, პუნქტუალურია – დროულად ცხადდება სამსახურში, ეფექტურად იყენებს სამუშაო დროს და არ იყენებს სტატუსს პირადი პრივილეგიებისთვის.
3. უსაფრთხოების სამსახურს ეკრძალება:

   ა) ზნეობრივ-ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, თანამშრომლის, პედაგოგის, მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის, უსაფრთხოების სამსახურის ან სკოლის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა, განურჩევლად მისი ჩადენის ადგილისა;

   ბ) სამსახურში ფორმის ტანსაცმლის გარეშე გამოცხადება ან ფორმის მთლიანობის დარღვევა;

   გ) სამსახურებრივი სარგებლობისათვის მასზე გადაცემული ფორმის ტანსაცმლის, ეკიპირების, აღჭურვილობის და სპეციალური საშუალებების სხვა პირისთვის გადაცემა ან გასხვისება;

   დ) სამსახურებრივი სარგებლობისათვის მასზე გადაცემული მატერიალური ფასეულობების დაკარგვა ან ბრალეულად დაზიანება;

   ე) სამსახურის თვითნებური მიტოვება;

   ვ) სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელებისას იმყოფებოდეს ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

   ზ) სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელებისას თამბაქოს მოწევა;

   თ) ცინიკური გამონათქვამები, ჟარგონებით საუბარი და სხვათა პატივისა და ღირსების შელახვა;

   ი) უსაფრთხოების სამსახურის სამსახურისათვის ან/და სკოლისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა.

მუხლი 49. უსაფრთხოების სამსახურის ურთიერთობა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან

1. უსაფრთხოების სამსახურის ურთიერთობა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან დამყარებული უნდა იყოს ურთიერთთანამშრომლობისა და ნდობის პრინციპზე.
2. უსაფრთხოების სამსახური მოსწავლეს უნდა დაეხმაროს, პიროვნებისადმი პატივისცემის, დისციპლინის, ქცევის, ნებისყოფისა და სიძნელეების გადალახვის უნარის გამომუშავებაში.
3. უსაფრთხოების სამსახური პატივისცემით ეპყრობა მასწავლებელს, სკოლის დირექციას და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა.
4. უსაფრთხოების სამსახური მოსწავლეებთან ურთიერთობაში უნდა იყოს გაწონასწორებული, არ ახდენდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოსწავლეებზე, უნდა შეეძლოს კონფლიქტური სიტუაციების პრევენცია და მათი განმუხტვა.

მუხლი 50. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის პირადი ჰიგიენა

1. უსაფრთხოების სამსახური უნდა ატარებდეს სპეციალურად განსაზღვრული ფორმის ტანსაცმელს.
2. უსაფრთხოების სამსახური უნდა ზრუნავდეს ფორმის ტანსაცმლის სისუფთავეზე, პირად ჰიგიენაზე და არ უნდა გამოიყურებოდეს შეუსაბამოდ.

თავი IX. წესის დარღვევა

მუხლი 51. წესის დარღვევა

1. ამ წესის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას სკოლის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი X. გარდამავალი დებულებები

მუხლი 52. გარდამავალი დებულებები

1. სკოლა ვალდებულია აღნიშნული წესის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში შეიმუშავოს ამ წესით გათვალისწინებული მედიაციის სტანდარტული გეგმა.
2. სკოლა ვალდებულია არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა გადახედოს მის მიერ შემუშავებულ მედიაციის სტანდარტულ გეგმას და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები.

დანართი №1

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ოქმი N_____

1. ----------

(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. _____

(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. პირი/ნივთი, რომელსაც უტარდება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება:

----------/ ----------

(სახელი და გვარი) (ნივთის დასახელება)

4. ფაქტის აღწერა (რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება):

---

5. მოსწავლისადმი უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

6. პირი, რომელიც ესწრებოდა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას:

ა) ---------- ბ) ----------

(სახელი და გვარი) (თანამდებობის დასახელება)

დამსწრე პირი

(ხელმოწერა)

მოსწავლე, რომლის მიმართაც განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

შენიშვნა:----------

დანართი №2

განცალკევების ოქმი N_____

1. ----------
(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. _____
(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. განცალკევებული სუბიექტი:

ა) ----------
(სახელი და გვარი)

4. პირი, რომელიც ესწრებოდა განცალკევების პროცესს:

ა) ---------- ბ) ----------
(სახელი და გვარი) (თანამდებობის დასახელება)

5. ფაქტის აღწერა (რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა განცალკევება):

---

6. მოსწავლის განცალკევების განხორციელების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

დამსწრე პირი

(ხელმოწერა)

მოსწავლე, რომლის მიმართაც განხორციელდა განცალკევება

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, რომელმაც მოაკითხა მოსწავლეს

(ხელმოწერა)

შენიშვნა:----------

დანართი №3

ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი N_____

1. ----------
(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2._____
(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. პირი, ვის მიმართაც გამოყენებული იქნა ფიზიკური ძალა:

---

4. ფაქტის აღწერა (ფიზიკური ძალის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება):

---

5. პირი, რომელიც შეესწრო საგანმანათლებლო დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების ფაქტს:

ა) ---------- ბ) ----------
(სახელი და გვარი) (თანამდებობის დასახელება)

6. მოსწავლისადმი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

დამსწრე პირი

(ხელმოწერა)

მოსწავლე, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ფიზიკური ძალა

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი

(ხელმოწერა)

შენიშვნა:----------